რატომ დაგვიანდა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4 მარტის სხდომაზე ოზურგეთელ ფალავანს, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს იური ლომაძეს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივით დაწესებული ფულადი ჯილდო, უფრო სწორად ამ ჯილდოს დამადასტურებელი ფირნიში. შესაბამისი მასალები გამოქვეყნდა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ მედიასაშუალებებში. 2 სექტემბრის სხდომაზე კი აღმოჩნდა, რომ ლომაძისთვის ეს ფულადი ჯილდო ჯერჯერობით არ გადაუციათ.

რადგან ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატის შეკითხვას - რატომ არ მიეცა ლაშა ლომაძეს დაწესებული ფულადი ჯილდო, სხდომაზე პირდაპირი პასუხი ვერ გაეცა, კომენტარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ირაკლი სირაძეს ვთხოვეთ:

„2020 წლის ევროპის ჩემპიონატზე იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ოზურგეთელი სპორტსმენი იური ლომაძე (მწვრთნელი ირაკლი ზურაბიანი) ვერცხლის პრიზიორი გახდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის 32 დადგენილებით განისაზღვრა წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის ფულადი ჯილდოს ოდენობები.

2020 წლის მარტში წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები და მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს გადაცემა ვერ განხორციელდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების გამო:

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი კორონა ვირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციები და ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები გამოიცა სახელმწიფო უწყებების მიერ. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის 1 ბრძანებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, აღნიშნულის საფუძველზე „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის 181 დადგენილებით, ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე, აიკრძალა საჯარო დაწესებულებების მიერ დაგეგმილი სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება, შეჩერდა დაწესებულებაში კომისიების, სამუშაო ჯგუფების, საბჭოების სხდომების ჩატარება, ასევე ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა (რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებდა სამუშაო ადგილზე ყოფნას) მათ შორის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ-ების თანამშრომელთა, მიერ უფლებამოსილებების განხორციელება მიმდინარეობდა დისტანციურ შრომის რეჟიმში.

გამომდინარე აქედან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გასაცემლების გაცემას“.

ირაკლი სირაძის თქმით, იური ლომაძე და სხვა დასაჯილდოებელი პირები ინფორმირებული იყვნენ ფულადი ჯილდოს დაგვიანების შესახებ, ამ დაგვიანების გამომწვევ გარემოებებზე. ფულადი ჯილდოები მათ აუცილებლად გადაეცემათ.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 24 (10358) 7 სექტემბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

„პატრიოტთა ალიანსმა“ ოზურგეთში საარჩევნო აქცია მსვლელობა გამართა

შოთა გოგიბერიძე: „ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს არც მტერთან და არც მოყვარესთან საუბრის“

4 ოქტომბერს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ ქალაქ ოზურგეთში საარჩევნო აქცია-მსვლელობა გამართა და, პარტიის საარჩევნო პროგრამის გაცნობის მიზნით, მოქალაქეებს შესაბამისი ლიტერატურა გადასცა.

საპარლამენტო არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი გურიის მაჟორიტარულ ოლქში შოთა გოგიბერიძე იქნება. გოგიბერიძის თქმით, პარტია თავის საარჩევნო პროგრამისა და მაჟორიტარი დეპუტატებს საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგენს ხვალ, 8 სექტემბერს, დედაქალაქში, თბილისის ზღვის მიდამოებში მდებარე ზურაბ წერეთლის მემორიალთან.

„სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოები, ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ძალები ავრცელებენ ფეიკ-ინფორმაციებს, ყალბ მასალებს ჩვენს შესახებ. მინდა გითხრათ, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ მძლავრი ნაბიჯებით იწყებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისაკენ სვლას. პირველი ნაბიჯი გახლდათ პირველ სექტემბერს ბაგრატის ტაძართან „პატრიოტთა ალიანსის“ ახ-ალგაზრდული მოძრაობის ყრილობის ჩატარება და მინდა გითხრათ, რომ ეს იყო გრანდიოზული

▶▶▶ გვ-2

თვალში ნაცრის შეყრის პოლიტიკა თუ ოზურგეთში ეკოლოგიური სიტუაციის დანგრევის კიდევ ერთი მცდელობა



ალიონი. – დაძლევს თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონდომებას ოზურგეთი მეტალურგების ქალაქად ჩამოყალიბდეს, დღეს ამაზე მსჯელობენ მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კულუარულად ხელისუფლების წარმომადგენლები; მეცნიერთაგან ზოგი დუმს, ნაწილი კი თავიანთ უარყოფით პოზიციას ხმამაღლა აფიქსირებენ, რადგან ალუმინის გადამამუშავებელი საწარმოს აშენება დაანგრევს ოზურგეთში არსებულ ისედაც ცუდ ეკოლოგიურ სიტუაციას.

გაზეთი „ალიონი“ წლების განმავლობაში იბრძოდა, რომ ოზურგეთში არ აგებულიყო ეკოლოგიურად საშიში –ტყვიის გადამამუშავებელი საწარმო, თუმცა სახელმწიფო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წაყრუებით, ინდურმა კომპანია „მანსაროვარმა“ და მისმა შვილობილმა „ჯეოგადამამუშავებელმა“ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს აქაურ ფლორასა და ფაუნას. წლების განმავლობაში, ისინი პერიოდულად კუსტარულად ადნობდნენ ტყვიას და ამისთვის საჭირო მეორადი აკუმულიატორები აფრიკის კონტინენტიდანაც კი შემოჰქონდათ. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „ორქისის“ კვლევით, დღეს საქართველოს მცირე მდინარეებს შორის (რომელთა სიგრძე 75 კილომეტრზე მეტი არ არის) მდინარე ბჟუჟი ტყვიის ნარჩენებით ყველაზე დაბინძურებული მდინარეა.

2016 წელს, „მანსაროვარის“ და „ჯეოგადამამუშავებელის“ პროექტი, ქ. ოზურგეთში, ექადიის უბანში აეგოთ ტყვიის გადამამუშავებელი საწარმო, არ შედგა. ადგილობრივი მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტს, იმჟამინდელმა სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამაც დაუჭირა მხარი და ე.წ. „ინვესტორებმა“ საწარმოს აგებაზე სახელმწიფოსაგან უარი მიიღო.

თუმცა წელს „მანსაროვარმა“ კომპანია „არერსა მეთალთან“ ერთად კარგად ისარგებლა კორონავირუსის პანდემიით და ოზურგეთელები ახალი ფაქტის წინაშე დააყენა –ამჯერად მათი მოთხოვნა ოზურგეთში მეორადი ნედლეულისაგან ფერადი ლითონების (ალუმინის სხმულების) საწარმოს აგების შესახებ ყოველგვარი განხილვის გარეშე სკოპინგის დასკვნის გაცემაზე, საქართველოს გარემოს

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

პარტიამ „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი“ გურიის მაჟორიტარობის კანდიდატად ნინო შეწირული წარადგინა

ალიონი. 31 აგვისტოს, პარტიამ „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი“ გურიის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა, ნინო შეწირული-გობრონიძე, რომელსაც 12 წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს სოფლის მეურნეობისა და კვების უსაფრთხოების საკითხებში.იგი 4 წლის განმავლობაში იყო სოფლის მეურნეობის სააგენტოს უფროსი გურიის რეგიონში.

გურიის მაჟორიტარობის კანდიდატის წარდგენას ესწრებოდნენ პარტიის თავმჯდომარე ბექა ნაცვლიშვილი; გენერალური მდივანი მარიამ ჯაში; პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე ზვიად კვაჭანტირაძე.

–ნინოს ხედვა არის გურიაში და ქვეყნის მასშტაბით სიღარიბის დაძლევა სწორედ სოფლის მეურნეობის გაძლიერებით.ნინოსთან ერთად ჩვენ არამხოლოდ გავაძლიერებთ აგრარულ სფეროს გურიაში, არამედ შევქმნით უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვით რეგიონში –განაცხადა პარტიის თავმჯდომარე ბექა ნაცვლიშვილმა.

„დღეს ოზურგეთში წარვადგინეთ უძლიერესი კანდიდატი. პირველი ქალი კანდიდატი, რომელიც „ჩვენი საქართველო- სოლიდარობის ალიანსის“ სახელით მაჟორიტარის მანდატისათვის იბრძოლებს. ნინი შეწირული გახლავთ აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი. უდიდესი პრაქტიკული გამოცდილებით სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის საკითხებში. ნინო თავად ოთხი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის სააგენტოს გურიის მასშტაბით არაერთი ფართომასშტაბიანი ინიციატივისა და პროგრამის ავტორი და კოორდინატორი გახლდათ. ნინო არის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული კანდიდატი, რომელიც ურთულეს კონკურენციას გაუწევს ყველა სხვა პარტიის მხრიდან უკვე ნომინირებულ კანდიდატებს.. ჩვენ გურიაში ვიბრძვით გამარჯვებისთვის რომელიც იქნება არა მხოლოდ ნინოს გამარჯვება, არამედ ხალხის გამარჯვება, რადგან „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ უმთავრესი პრინციპი არის ხალხის სამსახურში და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად პოლიტიკური მანდატების მობილიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ, პასუხისმგებლობას ვიღებთ ყველა იმ წარმატებაზე და ასევე შეცდომებზე, რომლებიც იყო წლების მანძილზე, მაგრამ არცერთმა ჩვენგანმა ვინც ვართ გაერთიანებული „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ გუნდში, არ გადავკვეთეთ წითელი ხაზები. არ წავსულვართ არასდროს ჩვენი მორალის და პროფესიული სტანდარტის წინააღმდეგ. მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის, სახელმწიფოს სამსახურში ვიყავით წლების მანძილზე, როგორც მთავრობაში ასევე პარლამენტსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და გვჯერა რომ დღეს აუცილებელია საქართველოს სახელმწიფო ინტერესები-სთვის და თითოეულ ოჯახში კეთილდღეობის შესაქმნელად საზოგადოების ნდობით, ცოდნით და პროფესიონალიზმით გამორჩეული ადამიანებით გუნდის ფორმირება. სწორედ ასეთ გუნდს ვქმნის „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი“ ჩვენ ძალიან ვამაყობთ რომ ნინო შეწირული-გობრონიძე არის ჩვენი გუნდის წევრი,“ ––განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ დასახელებული პარტიის გენერალურმა მდივანმა, საპარლამენტო ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარე მარიამ ჯაშმა.

„პატრიოტთა ალიანსმა“ ოზურგეთში საარჩევნო აქცია მსვლელობა გამართა

შოთა გოგიბერიძე: „ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს არც მტერთან და არც მოყვარესთან საუბრის“

ღონისძიება, რომელშიც 1500 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ამ ღონ-ისძიებით გაიხსნა ჩვენი საარჩევნო კამპანია.

მინდა გითხრათ, რომ „პა-ტრიოტთა ალიანსს“ ამ არ-ჩევნებში გუ-რიის მაჟორიტარულ ოლქში ჩემი სახით., ეყოლება ღირსეული კანდიდატი,– უთხრა აქციის მსვლელობის დროს ადგილობრივ ჟურნალისტებს შოთა გოგიბერიძემ,

მანვე უპასუხა კითხვას აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემებზე „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთთან დიალოგის თემაზე:

„ჩვენ მიგვაჩნია, ცხინვალთან და ოსეთთან, ჩვენს თანამოძმეებთან საუბარი აუცილებელია ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდების აღსადგენად. ამ თემაზე რუსეთთან საუბარი და ამ თემის განხილვა საჭიროცაა და აუცილებელიც. მინდა გითხრათ, რომ უამრავ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის, ჩვენს პარტიას გააჩნია რესურსი ამ თემაზე ესაუბროს როგორც რუსეთს, ისე აფხაზ და ოს ძმებს. კი რუსეთი ოკუპანტი გახლავთ, რაზეა საუბარი, მაგრამ ოკუპანტს თუ ზურგს შევაქცევთ, გაგრძელდება ბორდელიზაციის პროცესი და უარესი პროცესებიც, რისი ინიცირებაც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს დაიწყო, ტერიტორიები ჩაბარდა, ახალგორი და კოდორი აჩუქეს ერთი ტყვიის გასროლის გარეშე. ეს პროცესები რომ შეჩერდეს, ამისთვის, რა თქმა უნდა, აუცილებელია საუბარი, რასაც უკვე მთელი მსოფლიო აღიარებს ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს არც მტერთან და არც მოყვარესთან საუბრის“, - განაცხადა გოგიბერიძემ.

საუბრის, - ჩვენ უნდა ვიყოთ აუცილებლად მზად იმისთვის, რომ მათ ამ პრობლემატიკაზე აი ამ ინფორმაციის მიწოდება, გარდა იმისა, რომ ჩვენ საინფორმაციო მასალასაც დავურიგებთ მოსახლეობას, „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო პროგრა-მასთან დაკავშირებით, გახლავთ მიზანი იმისა, რასაც ჩვენ დღეს ვახორციელებთ.

მსგავს საარჩევნო აქცია-მსვლელობებს „პატრიოტთა ალიანსი“ ლანჩხუთსა და ჩოხატაურშიც გამართავს.

კორონავირუსის პირველი შემთხვევა გურიაში

გურიის რეგიონში კორონავირუსის პირველი შემთხვევა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვენობნის მკვიდრს დაუფიქსირდა. ჩოხატაურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ნატო ჯიბუტის განცხადებით, 21 წლის ქალი „დონას“ კლასტერს მიეკუთვნება და დაბა ჩოხატაურის საკონდიტროში როგორც მომხმარებელი, ისე იმყოფებოდა. მიმდინარეობს მისი კონტაქტების მოძიება.

„ქალს“ ჰქონდა საეჭვო კლინიკური ნიშნები, ჩაუტარდა კვლევები და დაუდასტურდა **COVID**-19. ამჟამად ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ქალის კონტაქტების კვლევას აწარმოებს," – განაცხადა ჯიბუტმა.

როგორც მოგვანებით გაირკვა, ეს პიროვნება რამდენიმე საათით სოფელ ასკანაშიც ნათესავებთანაც იმყოფებოდა მისი კონტაქტები დადგენილია.

ქვეყანაში შესაძლოა საგანგებო მდგომარეობა და კარანტინი დაბრუნდეს – ცერცვაძე საზოგადოებას აფრთხილებს

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორის, თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, არსებობს რისკი იმისა, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა დაბრუნდეს.

“იქნება მეორე ტალღა. უფრო გაგვიჭირდება ვიდრე ახ-ლა, მაგრამ არა იმდენად, როგორც მარტში და აპრილში. არსებობს რეალური რისკი რომ იძულებული გავხდეთ ქვეყანაში დავაბრუნოთ საგანგებო მდგომარეობა, თუ კარანტინი თუ სხვა ” – თქვა ცერცვაძემ.

რა ვერსიებზე საუბრობენ ბოხვაურელები სოფლის ყოფილი გამგებლის ვალია გირკელიძის დაკავების შესახებ

გავრცელებული ინფორმაციით, 3 სექტემბერს, სოფელ ბოხვაურში სუსმა სოფლის ყოფილი გამგებელი, ვალია გირკელიძე და მისი მეუღლე ნანა ცხვედიანი დააკავა.

როგორც თანასოფლელები ამბობენ, მათი დაკავება ნარკოტიკებს, ხოლო მეორე ვერსიით გირკელიძის დაკავება მიწების ლეგალიზაციის თემას უკავშირდება. იგი წლების მანძილზე ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი და მიწის ლეგალიზაციის თავმჯდომარე იყო.

–კარგა ხანია ვალია გირკელიძე ძირითადად სახლში იყო. ამას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა განაპირო-ბებდა. შაქარი აქვს და სულ მკურნალობდა. რა კავშირში უნდა ყოფილიყო იგი ნარკოტიკებთან არ ვიცით –გვითხრა ერთ-ერთმა ბოხვაურელმა.

„ალიონს“ ასევე არაოფიციალურად აცნობეს, რომ დაკავებულები თბილისში გადაიყვანეს.

თვალში ნაცრის შეყრის პოლიტიკა თუ ოზურგეთში ეკოლოგიური სიტუაციის დანგრევის კიდევ ერთი მცდელობა

დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებაც (№2-576, 07.07.2020 წ.) მიიღეს. დასახელებული კომპანიები ქ. ოზურგეთში, კვლავ ექადიის უბანში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე აპირებენ ამ საწარმოს აგებას.

რაოდენ გასაკვირვიც არ უნდა იყოს, გაზეთ „ალიონის“ ინფორმაციის შემდეგ გახდა ცნობილი მუნიციპალიტეტის რიგი პირველი პირებისათვის სამინისტროს მიერ სკოპინგის ანგარიშის გაცემის შესახებ. ბუნებრივია მოსახლეობამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. **ინფორმაციის „გაჟონვის“ შემდეგ სკოპინგის დასკვნის შესახებ მინისტრის ბრძანება 16 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული შენობაში დაფაზე გამოაკრეს (?!).**

მკითხველი იკითხავს, რატომ ლიხაურში?

2004 წლამდე ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორია, მიმდებარე მიწებით ქ. ოზურგეთს ეკუთვნოდა. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ რატომღაც გადაწყვიტა, რომ მიწები სოფელ ლიხაურისთვის გადაეცათ და იმჟამინდელმა საკრებულომ ამ ინიციატივას დაუჭირა მხარი. ამბობენ. ეს იმჟამინდელი ლიხაურის გამგეობისთვის შემოსავლების გაჩენის მიზნით გაკეთდა, მაგრამ ახლა ხომ პრობლემას ქმნის? **აგერ ძალაქის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ უბანში ერთი დიდი ეკოლოგიური საფრთხის წინაშე უნდა დადგეს მოსახლეობა. ქარხნის ეზოდან უახლოეს მოსახლემდე მხოლოდ 30 მეტრია** (?!).

ასეთ რამეს მხოლოდ კოლონიურ ქვეყნებში ბედავენ. ღმერთმა დაგვიფაროს ამ სტატუსისაგან, მაგრამ იმას კი ამბობენ, რომ „ინვესტორმა“ არაოფიციალურადაც დიდი ფული ჩადო ამ საქმეში და თავად აცხადებენ, მოსახლეობის პროტესტს არანაირი შედეგი არ ექნებაო.

ჩნდება კითხვა –გურიის რეგიონში სადაც ტურიზმის განვითარებაზეა საუბარი, სადაც მოცვისა და სხვა მომგებიანი კულტურების გასაშენებლად სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს, სადაც ჩაის კულტურის აღდგენასაც გეგმავენ, საიდან მოუვიდა აზრი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ალუმინის გადამამ-უშავებელი საწარმოს აგებისთვის მიეცა მწვანე შუქი?

პარადოქსია, მაგრამ ფაქტის წინაშე ვდგევართ. ქვეყანაში სადაც ალუმინის საბადოები არ არის და საუკუნის წინ ჯერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დაგვაკარგვინეს მურღულის, ხოლო შემდეგ ქვეყნის გამყიდველი ბოლშევიკების მიერ ალავერდის საბადოები, **ახლა უცხო ქვეყნებიდან უნდა ვზი-დოთ ფერადი ლითონების ნარჩენები, რომ კიდევ მეტი ეკოლოგიური პრობლემები შევუქმნათ ჩვენს მოსახლეობას და გარემოს?**

კიდევ ერთხელ გადავხედეთ სკოპინგის ანგარიშს. ამ ანგარიშის მიხედვით საწარმოს დაგეგმილი აქვს ალუმინის ჯართის გადამუშავება და თერმული მეტალურგიით სუფთა ალუმინის მიღება. დღე ღამეში სამი ციკლის წარმოებაა დაგეგმილი, რაც 27 ტონას შეადგენს, ხოლო **საწარმოს წლიური წარმადობა –8424 ტონას**.

სკოპინგის ანგარიშში გარკვევით წერია, რომ ჯართში შესაძლებელია რადიაციის სხვადასხვა ლოკალური წყაროების მოხვედრა. საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ალუმინის ჯართისაგან წე-ლიწადში მიიღება 100 ტონამდე წიდა, რისთვისაც გათვალისწინებულია შიდასაყარის მოწყობა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ 18 ივლისს, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართა, რომელიც რამდენიმე ცენტრალურმა ტელევიზიამ გააშუქა. მოსახლეობას კარგად ახსოვს, რომ მათი პროტესტის მიუხედავად „მანსაროვარი“ და „ჯეოგადამამუშავებელი“ ახერხებდნენ გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მოქრთამვას და ყოველგვარი წესების დაცვით გარეშე კუსტარულად აღნობდნენ ტყვიას.

–„თუ აქ კვლავ ეკოლოგიურად საშიში საწარმოს აგებას გეგმავენ, სახელმწიფო რატომ ახორციელებს ქარხნის ტერიტორიიდან 50 მეტრში ანასეულის წყალმომარაგების წყალსაქაჩი სადგურის მშენებლობას? რატომ ჩადო ამ საქმეში 7 მილიონი ლარი? აქ არათუ მეტალ-ურგიული ქარხნის აგება, სანიტარული დაცვის ზონაში საქონლის გავლაც არ შეიძლება“ –განაცხადა გაზეთ „ალიონთან“თაყაიშვილის ქუჩის მაცხოვრებელმა, ამ დარგის სპეციალისტმა **გიგა თოდრაძემ.**

მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და მასზე კომენტარი საპროექტო ორგანიზაცია „ამბაზი 3“-ის ხელძღვანელს **თინა თენიეშვილს** ვთხოვეთ:

– ათეული წლების - მანძილზე გვქონია შეხება მსგავს პროექტებთან. სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად (**ÑÍ èÏ** II-31-74) წყლის მომარაგების პირველი სანიტარული ზონა წყლის საზღვრიდან 100 მეტრში მდებარეობს (11.6), ხოლო იქ სადაც მიწისქვეშა წყლების ჭაბურღილია, 500 მეტრში არ შეიძლება იყოს მეცხოველეობის ფერმაც კი, 300 მეტრში არ უნდა ჩატარდეს აგროქიმიური სამუშაოები, ხოლო **ერთი კილომეტრის რადიუსში არ შეიძლება ისეთი საწარმოს აგება, სადაც დაბინძურებული ნარჩენების წარმოქმნაა შესაძლებელი** (იხ.11.17, 11.19 პუნქტები). ეს საერთაშორისო აღიარებული ნორმებია (ზოგან უფრო მკაცრიც) –გვითხრა თინა თენიეშვილმა.

მოსახლეობის აქციის შემდეგ ჩვენ შევხვდით საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამდვილ წევრს, ანასეულის ინსტიტუტის დირექტირის მოადგილე, პროფესორ **ვალერიან ცანავას** და კომენტარი ვთხოვეთ ქ. ოზურ-გეთში ალუმინის სხმულების საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხზე:

–ვერ ვაკავშირებ ერთმანეთს წყალსაქაჩ და სადგურს ალუმინის სხმულების საწარმოს.

ალუმინი ძალიან ქმედითი და რეაქციაში კარგად შემავალი ელემენტია.მისი საბადოები ძირითადად ევროპის ქვეყნებში და აფრიკისკონტინენტზეა. არის რუსეთშიც და კავკასიაშიც. მაგრამ **შესაძლებელია ალუმინის მისაღებად თიხამინერალებიც გამო-იყენონ, რაც ძალიან ცუდ შედეგს მოიტანს.**

ასეთი საწარმო მუშაობს ელექტროლიზის მეშვეობით, ხდება ალუმინის გამოყოფა. ტექნოლოგიური ხაზი მარტივიც არის და საშიშიც, რადგან მაღალი ტემპერატურის პირობებში ხდება სხმულის მიღება. **ამ საწარმოს ირგვლივ კი მდინარეებია, რაც საფრთხის შემცველია, რადგან მათი დაბინძურება მოხდება.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით კომპანიებმა უნდა შემოიტანონ ჯართი, **მაგრამ რამდენად დეტალურად იქნება შესწავლილი ეს თემა,როგორ ჯართს იყენებენ, რა სახის რადიაქტიული ელემენტები იქნება ეს შესასწავლია.** თავად ალუმინს არ აქვს რადიოაქტიური იზოტოპი, ბუნებრივი იზოტოპი კი აქვს. ალუმინის ატომური წონა 26-ია. რა კონტროლის მექანიზმი იქნება ჯერ-ჯერობით არ ჩანს, ისე უპრაგმონოდ მეორადი ნედლეულის (ანარჩენების) შემოტანა საფრთხის მომტანია. უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ეს ჯართი, როგორ მოხდება მისი შენახვა, ამ ნარჩენებში რა ფორმითაა მასში ალუმინის..**ჯართი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ელემენტებს, რომელიც მოქმედებს ღია გრუნტზე, არ მოხვდეს გრუნტის წყლებში რადიოაქტიური და არარადიაქტიული დამაბუნძურებელი ელემენტები; მათი კონცენტრაციის გაზრდა ნიადაგში დამლუპველია.**

ასევე ცალკე თემაა ამონაბოლქვის გავრცელება ატმოსფეროში.

შესასწავლია, როგორია კონკრეტულ ლოკაციაში ნიადაგის ფორიანობა, წყალგამტარობა, ნაპრალები და ა.შ. მოხვდება თუ არა რადიაქტიული და არარადიაქტიული ელემენტები არტეზიულ წყალსადენში.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უსწრებდეს ძალიან დიდი სამუშაოების შესრულება –გვითხრა ვალერინა ცანავამ.

ცნობილი მეცნიერის ამ მოსაზრებას იზიარებენ მისი კოლეგები, ასევე აკადემიური დოქტორები **ანგელინა ნიკოლაიშვილი** და **იზოლდა მამულაიშვილი,** ხოლო **ნანული ორაგველიძე** (იგი საკრებულოს დეპუტატიცაა) ამბობს, რომ **მართალია ალუმინი ორგნიზმისა-თავის ისეთი დამაზიანებელი არ არის, როგორც ტყვია, მაგრამ ალუმინი ძალიან ადვილად იფანტება მტვრის სახით ჰაერში და ადვილად ითვისებს რადიაციას.**

რა შედეგი მოჰყვა მოსახლეობის კოლექტიურ განცხადებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს ოზურგეთის მოსახლეობამ და საზოგადოების წარმომადგენლებმა **კოლექტიური განცხადებით მიმართეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ ისინი წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეს, რომ არსებობს ალუმინის საწარმოს მხრიდან გარემოსა და მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვანი რისკი და ითხოვდნენ სამინისტრომ ჩაატაროს და უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაში.** განცხადებას ხელს აწერენ ცნობილი მეცნიერები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსახლეობა (72 კაცი).

ამ დღეებში სამინისტრომ მოსახლეობის განცხადებას უპასუხა, თუმცა 3 გვერდიან პასუხში კონკრეტულ მოთხოვნზე პასუხი ბუნდოვანია.

სამინისტრომ სკოპინგის ანგარიში თავის ოფიციალურ ვებ.გვერდზე რომ განათავსა, ეს გასაგებია (რამდენად ეცნობა მას მოსახლეობა ეს სხვა საკითხია), მაგრამ **იმის მტკიცება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფორმაცია გადაიგზავნა საინფორმაციო დაფაზე გასაკრავად და ვებ.გვერდზე განსათავსებლად, ასევე კორონავირუსის პრევენციის ღონისძიებების შეზღუდვების გათვალისწინებით სასურსათო და საფთიაქო ქსელთან განთავსების მიზნით დაზუსტებას ითხოვს.**

კორონავირუსის პანდემიის გამო მუნიციპალიტეტის შენობაში არათუ მოსახლეობა, არამედ ჟურნალისტებიც კი ვერ შედიოდნენ. არც ვებ.გვერდზე გამოქვეყნებული გვინახავს იმ პერიოდში. ხოლო თუკი შესაბამის ფოტოებს მოგვაწვდიან, რომელ სასურსათო თუ საფთიაქო ქსელთან იყო მინისტრის ბრძანება სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, რომ მას მოსახლეობა გაცნობოდა, გამოვაქვეყნებთ და ბოდიშსაც მოვიხდით. ასეთი მაღალი რანგის სახელმწიფო დაწესებულება პასუხის დაწერამდე ასეთ თემებს უნდა აზუსტებდეს და სიცრუის ტირაჟირებას, ან თვალში ნაცარის შეყრის პოლიტიკას არ უნდა ახდენდეს.

კარგია, გვაცნობენ წესებს, თუ როგორ უნდა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებ.გვერდზე ესა თუ ის ინფორმაცია, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა გარკვევით დაეწერათ აპი-რებენ თუ არა გარემოსდაცვი-თი გადაწყვეტილების მიღების მიზნით აღნიშნული პროექტის **გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში საზოგადოების ინფორმირებულობას და გადაწ-ყვეტილების მიღების პროცეში მათ ჩართვას**, თუ პანდემიის მეორე ეტაპს დაელოდებიან.

გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ** (იხ. გაზეთი „ალიონი“ №17) გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ „გურია თავისი გარემოთი არის მწვანე რეგიონი, მაქსიმალურად უნდა შევინარჩუნოთ ეკოკლიმატი, რომელიც ჩვენს რეგიონშია. რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ურბანული განვითარება, საწარმოების ფუნქციონირება არ უნდა უშლიდეს ხელს ეკოგარემოს. ის მიმზიდველობა, რაც ჩვენს რეგიონს აქვს ტურიზმის კუთხით უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული, ყველა პარამეტრი შენარჩუნებული.

რაც შეეხება ალუმინის წარმოებას, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ამ დღეებში შევხდეთ პასუხისმგებელ პირებს, სპეციალისტებთან ერთად უფრო დეტალურად შევისწავლოთ ეს საკითხი, რადგან ამ საწამოს შექმნა არ იყო ადგილობრივი ინიციატივა.“

როგორც გვაცნობეს, ამ თემაზე შედგა გურიის გუბერნატორის და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე **ნინო წილოსანის** შეხვედრა.

ნუგზარ ასათიანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 სექტემბრის სხდომის შედეგები

ხუთი საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და ოთხი განკარგულება

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2 სექტემბრის სხდომაზე სულ 9 საკითხი განიხილა.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი პირველივე საკითხს: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაყებას.

მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების მიზნით, აუქციონის წესით მოხდეს შემდეგი უძრავი ქონების პრივატიზება: ქალაქ ოზურგეთში კოსტავასა ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 72 კვადრატული და 24 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთები; ასევე გურიის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი; სოფლებში – მერიაში (908 და 1200 კვ მ), თხინვალში (1200 კვ მ), ნაგომარში (2559 და 3399 კვ მ); ურეკში, წვერმათღალაზე (390 კვ მ), ნატანებში (35580 კვ მ) ვაკიჯვარში (1250 კვ მ), კურორტ გომისმთაში (100 კვ მ), დაბა ლაითურში (10040 კვ მ) სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები..

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად.

დეპუტატებმა ასევე დაუჭირეს მხარი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ. 26.33.23.103) შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 60 000 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ – საკრებულოს განკარგულების მიღებას.

მუნიციპალიტეტის მერის ინიცირებული ეს პროექტი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საკრებულოში ხელმეორედ შევიდა.

საკრებულომ მიიღო განკარგულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების მიღებას.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 498 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.29.24.112.) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, აქ შემდგომში ტაძრის აშენების მიზნით.

სხდომაზე მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესახებ“

ასევე მიღებულია განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ.

ცვლილებები და დამატებები შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში.

ცვლილებები და დამატებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში

ალიონი. 2 აპრილის სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

გაიზარდოს ბიუჯეტი სულ შემოსავლებისა და გადასახადების ნაწილში 1 152 700 ლარით:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1574 განკარგულებით შევიდა ცვლილება „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 თებერვლის №325 განკარგულებაში, რომლის თანახმადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 900 000 ლარი. მათ შორის:

– სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად – 900 000 ლარი;

2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1573 განკარგულებით „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 252 700 ლარი. მათ შორის:

– სოფელ ბახვში საავტომობილო გზის რეაბილიტაციისთვის – 252 700 ლარი.

შემცირდეს ბიუჯეტი სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში 2 571 141,88 ლარით:

3. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 მარტის №584 განკარგულებით შევიდა ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებაში, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა გამოყოფილი თანხა 349 201 ლარით. მათ შორის:

– პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები – 349 201 ლარით;

4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის №973 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №27 განკარგულებაში „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა გამოყოფილი თანხა 411 940,88 ლარით. მათ შორის:

– საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები – 90 000 ლარი;

– საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა – 321 940,88 ლარი;

5. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი ფისკალური პროგნოზირების საფუძველზე შემცირდეს საკუთარი შემოსავლები 1 810 000 ლარით. კერძოდ:

– გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე, გარდა მიწისა (ორგანიზაციული კოდი 11311) – 810 000 ლარით;

დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო შემოსავალი (ორგანიზაციული კოდი 11411) – 1 000 000 ლარით;

6 საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი – 02040–61.1-.2.11) –37 500 ლარით;

7.ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი – 06 02 14 –2.7) – 34 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელების ნაწილში:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1574 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი – 020701 –61.1.1.11) – 900 000 ლარით;

2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1573 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი –02 02 01 – 61.1.1.5 – 252 700 ლარით;

3. საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი – 02 04 - 2.5) – 37 500 ლარით;

4. მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (ორგანიზაციული კოდი – 06 02 12 - 2.7) – 34 000 ლარით.

შესაბამისად შემცირდეს გადასახდელების ნაწილში:

5. საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 02 01 -61.1. 1.5) – 349 201 ლარით;

6. საქართველოს მთავრობის №27 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ზოგადი განათლების ხელშეწყობა. არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - 04 02 - 61.1.1.2) – 90 000 ლარით;

7. საქართველოს მთავრობის №27 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ზოგადი განათლების ხელშეწყობა. საქონელი და მომსახურება (ორგანიზაციული კოდი - 0402 - 2.2.10.14) – 321 940,88 ლარით;

8. ოზურგეთის საკრებულო, შრომის ანაზღაურება დანამატის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 0101 - 2.1.1.1.4) 20 000 ლარით;

9. ოზურგეთის საკრებულო, საქონელი და მომსახურება (ორგანიზაციული კოდი - 01.01 -2.2) – 30 000 ლარით;

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, შრომის ანაზღაურება, დანამატის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი – 0102 - 2.1.1.1.4.) – 40 000 ლარით;

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, საქონელი და მომსახურება (ორგანიზაციული კოდი – 01 02 -2.2) – 120 000 ლარით;

12. ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი – 02 02 01 - 61.1.1.11) – 840 000 ლარით;

13. საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის დასკვნა, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი – 02 04 - 61.12.11.) – 150 000 ლარით;

14. სკოლამდელი განათლების დაფინანსება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი – 04 01 -2.5) – 300 000 ლარით;

15. ზოგადი განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 04 0 - 2.8.2.2.) –50 000 ლარით;

16. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 05. 01. 01 - 2.8.2.1.18.) – 20 000 ლარით;

17. სპორტული ობიექტების დაფინანსება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05. 01. 02 2.5) – 70 000 ლარით;

18. კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 05. 02 01 - 2.2.10.14) –150 000 ლარი;

19. ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 05 03 - 2.2.10.14.) – 20 000 ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს

ბატონო კონსტანტინე,

მისასალმებელია და მადლიერებას გამოვხატავთ თქვენს მიმართ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების გამო, რამაც გაალამაზა ჩვენი მუნიციპალიტეტი და გააუმჯობესა მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება.

თქვენ კარგად იცნობთ ჩვენი ქალაქის ისტორიას და იცნობთ ქალაქის ქუჩებს, და სწორად აცნობიერებთ მათი იერსახის მოწესრიგების აუცილებლობასაც. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვართ იმ ქუჩის მაცხოვრებლები, რომელიც ატარებს საქართველოს საამაყო მეფის– დავით აღმაშენებლის სახელს და რომლის ყოფილი სახელწოდებაც –1905 წლის ქუჩაც განიყოფელი ნაწილია გურიის გმირული წარსულისა. ამავე დროს იგი არის პირველი მასპინძელი აღმოსავლეთ საქართველოდან შემოსული სტუმრებისთვის. რაოდენ დასანანია, რომ სწორედ ასეთი დატვირთვის მატარებელი ქუჩის ტროტუარები არის მოუწესრიგებელი და უფრო მეტიც, თავისი მდგომარეობით საგანგაშოა, ფეხით მოსიარულეთათვის გამოსაყენებლად შეუძლებელი.

მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ არსებული ვითარება და 2020 წლის ბიუჯეტის შედგენისას შეიტანოთ ინფრასტრუქტურულ პროექტებში დავით აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარების კეთილმოწყობა, რათა ბოლომდე მიიყვანოთ „შეწყვეტილ სიმღერასავით“ მიტოვებული ერთ დროს დაწყებული მოპირკეთებითო სამუშაოები.

აზა ყალიჩავა, რეზო მელუა, მანანა ლომაძე, მანანა მუჯირი, ლევან სირაძე, მაიკო გოგოტიშვილი, ოთარ ქავჟარაძე, მიშა ამირხანიანი,ნოდარ, გუგული, ნელი ჩხარტიშვილები, ხახუტა, ვაჟა გურგენიძეები.

გასულ კვირაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რამდენიმე პროექტი დასრულდა



მაკვანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭალის უბნის დასახლებაში, რთულად გადასაადგილებელ საგზაო მონაკვეთზე 50 მ. სიგრძის რკინა-ბეტონის გზა მოეწყო.

შესრულებული სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში, „მესამე ბრიგადად“ წოდებულ ნაწილში, სადაც ერთ პატარა ღელეზე, რომელიც ადიდებისას მდინარეს ემსგავსება, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გახორციელებული პროექტით, სამანქანე ხიდი აიგო.

ბახვის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგონაძის და ვაშალომიძეების უბნის დასახლებაში, 242 მ. სიგრძის რკინა-ბეტონის გზა მოეწყო.

სამუშაოები ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა.

ნარუჯა – ლაითურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები ახალი გზით ისარგებლებენ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვით-არების ფონდმა 2 სოფლის დამაკავშირებელი 7 კმ-იანი გზის მონაკვეთზე რეაბილიტაცია უკვე დასრულა. აღნიშნულ გზაზე, გზის დაზიანების შედეგად, გადაადგილება ჭირდა და მოსახლეობისთვის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა.

პროექტის შედეგად, სრულად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა და ადგილობრივები კომფორტულად შეძლებენ გადაადგილებას.

აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი და მოეწყო ეზოში შესასვლელები.

სამუშაოები ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება 4 მილიონ ლარამდეა.

ურეკში რამდენიმე უბნის წყლისა და წყალარინების სისტემების მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა

წყალმომარაგების კომპანია რეგიონებში მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად წყალმომარაგება-წყალარინები პროექტების განხორციელებას განაგრძობს.

ამჯერად, კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში წვერმაღალას, წერეთლის, სანერგეს უბნებისა და მე-13 ქუჩის წყალმომარაგება - კანალიზაციის სისტემების პროექტირება-მშენებლობაზე.

ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადების მიღება 10 სექტემბერს დასრულდება. პროექტის სავარაუდო ღირებულება 6,084,315 ლარია. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები 18 თვეში უნდა დაასრულოს.

დღეის მდგომარეობით, დაბა ურეკის წყალმომარაგების სისტემის უმეტესი ნაწილი რეაბილიტირებულია, თუმცა წვერმაღალას, წერეთლის, სანერგეს უბნებსა და მე-13 ქუჩაზე წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა არ არსებობს. მოსახლეობის ნაწილს წყალი, მცირე დებიტის მქონე წყაროებიდან, ინდივიდუალურად აქვს გამოყვანილი, რაც სანიტარულ ნორმებსა და წყლის მოხმარების საჭირო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. დასახლებებში არ არსებობს წყალარინების ქსელიც.

სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა წყლისა და წყალარინების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რის შემდეგაც 1200-მდე ადგილობრივი უწყვეტი წყალმომარაგებითა და წყალრინების გამართული სისტემით ისარგებლებს.

3000 - ლარიან ჯილდოს 17 ოზურგეთელი პირველკურსელი მიიღებს

2 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დეპუტატები ახალგაზრდული პროგრამიდან წარმატებული პირველკურსელების დაფინანსების თემით დაინტერესდნენ.

პროგრამა, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ექსკლუზივია, წელსაც, მიუხედავად ბიუჯეტის სეკვესტრისა, იმუშავებს.

წარმატებული აბიტურიენტები, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მაღალი შედეგი აჩვენეს და 100% გრანტი მოიპოვეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსაგან საჩუქრად 3000 ლარს მიიღებენ. ხოლო წარჩინებული მოსწავლის აღზრდისთვის მშობლიური სკოლა 1000 ლარით დაჯილდოვდება. ოზურგეთის სინამდვილეში 100% გრანტის მფლობელი 17 აწ უკვე პირველკურსელია. ჯილდოდ გასაცემი თანხის რაოდენობა კი 68 000 ლარი.

ოზურგეთელი თეკლა ასათიანი –საჭადრაკო ფესტივალის ვიცე-ჩემპიონი

ბათუმში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმი 2020“, რომელშიც გურიის რეგიონის წარმომადგენლებიც ასპარეზობდნენ. მათგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ოზურგეთელმა **თეკლა ასათიანმა**, რომელმაც 12 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ვიცე ჩემპიონობა მოიპოვა. მწვრთნელი **ნინო წიტაიშვილის** თქმით თეკლას ბოლო ტურში ყაიმის ნაცვლად შეეძლო მოეგო და ჩემპიონიც გამხდარიყო, მაგრამ მან რთულ პარტიაში არ გარისკა და შეიძლება სავსებით სწორადაც,რადგან წაგების შემთხვევაში ხუთეულს მიღმა აღმოჩნდებოდა.

ვულოცავთ თეკლას!

სასაცილო სატირალი

თავსატეხი თხილის თემაზე

ქართული მხატვრული ფილმი „მანანა“ ხომ გახსოვთ? მაშინ, სესილია თაყაიშვილი (მანანას ბებია) სანდრო ჟორჟოლიანს (მანანას ბაბუას) ამოცანას რომ უკითხავს, ისიც გემახსოვრებათ:

„ერთი ბუ ანადგურებს 100 მინდვრის თაგვს. ერთი თაგვი ანადგურებს 1 კგ მარცვალს.

კითხვა: რამდენ კგ მარცლეულს გადაარჩენს ორი ბუ?“

მოდით, ახლა, თხილის მაგალითზე, ცოტათი გავართულოთ ეს ამოცანა:

დავუშვათ, ოზურგეთში საშუალოდ დღეში თხილის მწარმოებლები აბარებენ 100 ტონამდე თხილს, რომლის ტარად გამოყენებულია 50-კილოგრამიანი ტომრები. მეთხილე (შემსყიდველი) ერთი ტომრიდან „ტეხავს“ 2 კგ და ტეხს 50 კეკალ თხილს.

კითხვა: რამდენ კგ თხილს „მოუტეხავენ“ ერთ კვირაში მეთხი-ლეები (შემსყიდველები) თხილის მწარმოებელებს (მომყვანებს), თუ ერთ კგ თხილი 600 კეკალისგან შედგება?

სწორი პასუხის გამცემი, იმ პირობით თუ თავსატეხის შემდგენელს არ შეაგინებს, გამოცხადდება გამარჯვებულად საუკეთესო მტეხავის („მომტეხავის)“ ნომინაციაში და დაჯილდოვდება ახალთახალი ჩაქუჩით.

შეადგინა
პოკა თელიამ.

შეექმნება თუ არა პრობლემა ექსპორტს?

„საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის, ბატონი ლევან ქარდავას თქმით წლეულს თხილის ჩასაბარებელი ფასი სავარაუდოდ 8 ლარი იქნება თხილის ჩაბარება თხილის ჩაბარება აგვისტოს დასაწყისში დაიწყო და 10 აგვისტოსთვის აქტიურ ფაზაში შევიდა.

„წელს ველოდებით მაღალმოსავლიანობას, შარშან დაახლოებით 40 ათასი ტონა მოსავალი გვქონდა, ხოლო წელს 50 ათას ტონას მი-აღწევს.. ხარისხს რაც შეეხება, შედარებით უკეთესია, ვიდრე შარშან იყო. ფასზე გეტყვით, რომ ჯერჯერობით მაინც მრავალი ფაქტორია, რაც თხილის ფასზე მოახდენს გავლენას, მათ შორის არის ევროპიდან მოთხოვნაც. მე ვფიქრობ, რომ ფასი იგივე ნიშნულზე იქნება, რაც იყო შარშან - 8 ლარის ფარგლებში“, - განაცხადა ლევან ქარდავამ.

ეს განცხადება ჯერჯერობით ჰაერში გამოკიდული რჩება, რადგან სექტემბერშიც კი თხილის სარეალიზაციო ფასმა ოზურგეთში 5 ლარამდეც ვერ მიაღწია. როგორც წყაროებიდან ჩანს, რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა ზუგდიდში.

ქარდავას თქმით, ქართულ ბაზარზე თხილი მუდმივად დეფიციტურია, ამიტომ ქართველ ფერმერებს მისი ჩაბარების პრობლემა არც აქამდე ჰქონიათ და არც ახლა ექნებათ.

„2018 წელს ნამდვილად ცუდი ხარისხის თხილი იყო და ევროპულ ბაზარზე პოზიციები დავკარგეთ, თუმცა 2019 წელს შედარებით უკეთესი ხარისხის მოსავალი გვქ-ონდა და შევძელით ევროპულ ბაზრებზე დაბრუნება. წელს, ორივე წელთან შედარებით, უკეთესი ხარისხის თხილი გვაქვს. ადვილი არ იქნება, მაგრამ აუცილებლად დავიბრუნებთ ადგილს ევროპულ ბაზარზე. ზოგადად, თხილის გატანას ევროპულ ბაზარზე პრობლემა არ შეექმნება“.

2020 წლის იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიო სხვადასხვა ქვეყანაში 11.6 მლნ დოლარის ღირებულების 1 843.1 ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს 15.1%-ით აღემატება.

საქსტატის მიხედვით, განსხვავებულია ნაჭუჭგაუცლელი და ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტის მონაცემები. თუ ნაჭუჭგაუცლელი თხილი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მხოლოდ 5 ქვეყანაში გავიდა, ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი 14-ზე მეტ ქვეყანაში განხორციელდა.

ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა აღნიშნულ პერიოდში 410.2 ათასი დოლარი შეადგინა;

რაც შეეხება ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტს, იანვარ-მარტში, ჯამში, 11.2 მლნ დოლარის ღირებულების 1 712.1 ტონა თხილი იქნა ექსპორტირებული.

სკანვორდი



პასუხები:

ნოკაუტი — ოთხეული — ბოდიშიანი — ბოდიშიანი, ბოდიშიანი — ბოდიშიანი, ბოდიშიანი — ბოდიშიანი, ბოდიშიანი — ბოდიშიანი, ბოდიშიანი - ბოდიშიანი, ბოდიშიანი — ბოდიშიანი, ბოდიშიანი — ბოდიშიანი, ბოდიშიანი —

რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა

(საქართველოს საეგზარქოსოსა და ეპარქიების მმართველობა)

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



საქართველოში რუსეთის მთავრობისა და რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის საგანმანათლებლო პოლიტიკას განუხრელად ახორციელებდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი და საქართველოს ეგზარქოსი მათდამი დაქვემდებარებული უწყებების მეშვეობით.

1901 წელს დასრულდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ **კირილ ინოვსკის** მოღვაწეობა ამ თანამდებობაზე. 1901 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად **მიხაილ ზავადსკი** დაინიშნა, რომელიც კავკასიაში 1906 წლამდე მოღვაწეობდა. 1902 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა ასე გამოიყურებოდა: **მიხაილ ზავადსკი** (სასწავლო ოლქის მზრუნველი); ოლქის ინსპექტორები:**რუდოლფ შენგერი, ლევ ლაპატინსკი, ალექსანდრ სლოვინსკი**; ოლქის კანცელარია: **ვიქტორ ანდრეევი**(მმართველი), **ნიკოლაი ნიკოლაევი, ერასტ სტასი, ვლადიმირ შეშუკოვი, სემიონ ანანიევი, ნიკოლაი კორჟუნოვი.**

1. მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლების ახალი დებულება.1902 წლის 1 აპრილს იმპერატორმა ნიკოლაი II-მ დაამტკიცა „დებულებანი მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლების შესახებ“. ამ დოკუმენტის ნაწილი – ზოგადი დებულებანი – 15 მუხლისაგან შედგებოდა:

„1. მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლებს მიზნად აქვთ გაავრცელონ ხალხში სარწმუნოება, ზნეობრივი სწავლა-განათლება;

2. საეკლესიო სკოლები განიყოფებიან ორ ჯგუფად: 1) პირველ დაწყებითნი, რომელთაც მიზნად აქვთ პირველდაწყებითი სწავლა მისცენ როგორც ბავშვებს, აგრეთვე მოზრდილებს და 2) ზე საოსტატონი – პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: საეკლესიო-სამრევლო, წერა-კითხვის და საკვირაო სკოლები, მეორეს კი: მეორეკლასიანი და საოსტატო საეკლესიო სკოლები;

3. საეკლესიო სკოლები ინახებიან სრულიად ან ნაწილად: 1) ერობათა, ქალაქთა, საზოგადოებათა, წოდებათა, ეკლესიათა, სამრევლოთა, მონასტერთა სამრევლო სამზრუნველოთა და ძმობათა, საქველ-მოქმედო დაწესებულებათა და კერძო პირთა შეწირულების საშუალებით; 2) უწმიდესის სინოდის თანხით; 3) სახელმწიფო ხაზინისგან მოცემული ფულით და 4) იმ თანხით, რომელსაც იძლევიან იმ ადგილებში, სადაც ჯერეთ ერობა არ არის შემოღებული, საგუბერნიო საკომლო გადასახადიდგან. საკვირაო სკოლები ინახებიან იმ შეწირულებით, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლის პირველ პარაგრაფში;

4. საეკლესიო სკოლები შეიძლება იყვნენ როგორც სავაჟო, აგრეთვე საქალებო. პირველ დაწყებითს სკოლებში ერთად შეუძლიან ისწავლონ ორივ სქესის წარმომადგენლებმა. იმ საკვირაო სკოლებში, რომლებშიც ერთად ორივ სქესის წარმომადგენლები სწავლობენ, მიღებულ უნდა იქნან ბავშვები არა უფროს 12 წლისა;

5. საეკლესიო სკოლებში მიიღებიან ყველა პირნი მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, წოდების და შეძლების განურჩევლად. წერა-კითხვის და საეკლესიო სამრევლო სკოლებში საეპარქიო მღვდელმთავრის ნებართვით მიღებულ იქმნებიან აგრეთვე შვილები სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა და აგრეთვე მკაწვრელთა (მწვალებელთა) სკოლებში მიიღებიან არამართლმადიდებლის სარწმუნოების აღმსარებელნი ბავშვები მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოადგენენ მშობლებისგან, ანუ იმ პირთაგან, რომელთა მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, თანხმობას მათის მართლმადიდებელის უწყების სკოლაში შესვლაზედ;

6. პირველ დაწყებითს და მეორე კლასიან სკოლებში დაინიშნებიან მზრუნველად ორივ სქესის წარმომადგენელნი მართლმადიდებლის სარწმუნოებისა იმ პირთაგან, რომელთაც ხელი შეუწყეს სკოლის დაარსებას, ან რამე ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს მათ. ყოველ საეკლესიო-საოსტატო სკოლას უნდა დაენიშნოს საპატიო მზრუნველნი - მამაკაცი ან ქალი. მათ ირჩევს სკოლის საბჭო. მზრუნველნი დამტკიცებულ იქმნებიან ამ თანამდებობაზე საეპარქიო მღვდელმთავრისაგან;

7. იმ პირთ, რომლებსაც რაიმე სამსახური მიუძღვით სახალხო განათლების გავრცელებაში საეკლესიო სკოლების შემწეობით, უწმიდესის სინოდისაგან შეიძლება ებოძოთ საპატიო მზრუნველის წოდება მთელი ეპარქიის, მაზრის, ანუ საბლაღოჩინო ოლქის საეკლესიო სკოლებისა;

8. დაწვრილებითი წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამტკიცებულ იქმნას ორივე სქესის წარმომადგენლები საეკლესიო სკოლების საპატიო მზრუნველად, დადგენილ იქმნებიან უწმიდესის სინოდისაგან;

9. საეკლესიო სკოლებში სწავლის საქმე უნდა მიანდოთ მხოლოდ მართლმადიდებლის სარწმუნოების აღმსარებელ პირთ. საღმრთო სჯულის სწავლება უნდა დაეკისროთ სკოლის გამგე მღვდლებს. წერა-კითხვის, საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლება შეიძლება მღვდლის გარდა მიენდოთ კრებულის დანარჩენ წევრებს მხოლოდ გამგის მეთვალყურეობით, იმ პირობით კი, რომ თვითეულ ამისთანა შემთხვევაში აღებულ იქმნას საჭირო ნებართვა საეპარქიო მღვდელმთავრისაგან;

10. საეკლესიო სკოლებში უნდა იხმარებოდეს სახელმძღვანელოები – საღმრთო სჯულის საგნებისა, მოწონებულნი უწმიდესის სინოდისაგან და სხვა საგნებისა, მოწონებულნი უწმიდეს სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოსაგან. საკვირაო სკოლებში კი შეიძლება ხმარებულ იქმნან საერო განათლების სამინისტროსაგან მოწონებული სახელმძღვანელოები;

11. საკვირაო, მეორე კლასიან და საეკლესიო-საოსტატო სკოლებში უნდა დაარსებულ იქმნან საბჭოები სასწავლო და სამეურნეო საკითხთა გადასაწყვეტად. საბჭოები შედგებიან მასწავლებელ ვაჟთა და ქალთაგან. თავმჯდომარედ უნდა იყვნენ სკოლის გამგენი. საკვირაო სკოლების საბჭოების წევრებად შეიძლება მიღებულ იქმნან აგრეთვე სკოლის დამფუძნებელნი და მზრუნველნი. საკვირაო სკოლის საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება დანიშნულ იქნან, სკოლის გამგეთა გარდა, სხვა პირნიც საეპარქიო მღვდელმთავრის დამტკიცებით;

12. ყოველ საოსტატო სკოლასთან დაარსებულ უნდა იქნას საზოგადო საცხოვრებელი იმ პირთათვის, რომელნიც მოისურვებენ სკოლაში ცხოვრებას. საზოგადო საცხოვრებლებში მოსწავლენი იცხოვრებენ საკუთარ ხარჯზე. შესანახი ხარჯის რაოდენობა განსაზღვრულ იქნება სკოლის საბჭოსაგან;

13. შეუძლებელ მოწაფეთათვის შეიძლება დაწესებულ იქნას სტიპენდიები კერძო პირთა, საზოგადოებათაგან და დაწესებულებათაგან საეკლესიო-საოსტატო სკოლებში. ზემოხსენებულისტიპენდიების გარდა დაწესებულ იქნება სახელმწიფო სტიპენდიები, რომელთა რიცხვი და რაოდენობა განისაზღვრება თითო სკოლისთვის უწმიდეს სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოსაგან;

14. ორივე სქესის პირნი, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო სტიპენდიებით, სწავლის დამთავრების შემდეგ მოვალენი არიან იმსახურონ მასწავლებლებად მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყებაში ხუთი წელიწადი. იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო ხუთი წელიწადს არ გადიხდის, ან ხუთი წლის შესრულებამდის სამსახურს თავს დაანებებს, საოსტატო სკოლის ყოფილი მოწაფენი ვალდებულნი არიან,დააბრუნონ უსარგებლოდ ის ფული, რაც მათზედ დახარჯვია სკოლას. ამ ვალიდგან გამოკლებულ იქნება ნამსახურევი დროს ხვედრი. ამ მუხლს არ ექვემდებარებიან ის მასწავლებელნი ქალნი, რომლებიც სავალდებულო ხუთის წლის ვადის გადახდამდის გათხოვდებიან;

15. საოსტატო სკოლებში მიიღებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც მკურნალის მოწმობას წარმოადგენენ იმის შესახებ, რომ არავითარი სხეულის იმისთანა ნაკლი არა აქვთ, რომელიც დაუშლის მათ მომავალ მასწავლებლობის თანამდებობის აღსრულებას."

1902 წლის 1 აპრილის დებულების მიხედვით, მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლები ორ საფეხურად იყოფოდა: 1. **პირველდაწყებითი სკოლები**: ა)წერა-კითხვის სკოლები, ბ)საეკლესიო-სამრევლო სკოლები, გ)საკვირაო სკოლები; 2. საოსტატო სკოლები: ა) მეორეკლასიანი სკოლები, ბ)საეკლესიო-საოსტატო სკოლები.

პირველდაწყებითი სკოლების დაარსების ნებართვა სხვადასხვაგვარად გაიცემოდა, განსხვავებული იყო სწავლის ხანგრძლივობა და პროგრამა. **წერა-კითხვის სკოლები** სამრევლოს მღვდლის თანხმობითა და ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით იხსნებოდა ეკლესიებსა და მონასტრებთან როგორც სოფლებში, ისე ქალაქად. ორივე სქესის მოწაფეებს ორი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ: საღმრთო სჯულს (ლოცვებს, საღმრთო ისტორიას და მცირე კატეხიზმოს), საეკლესიო-სლავურ წერასა და კითხვას, რუსულ წერასა და კითხვას, ანგარიშს და საეკლესიო გალობას. **საეკლესიო-სამრევლო სკოლები,** რომლებიც, ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით, ორივე სქესის მოწაფეთათვის იქმნებოდა ეკლესიებსა და მონასტრებთან, ერთ და ორკლასიანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთკლასიან სკოლებში სწავლა სამ წელიწადს, ორკლასიანში კი ოთხ წელიწადს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხუთ წელიწადსაც გრძელდებოდა. სწავლის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა სასწავლო საბჭო. ერთკლასიან სამრევლო სკოლებში ასწავლიდნენ: საღმრთო სჯულს(საღმრთო ისტორიას, ღვთისმსახურების განმარტებას და მცირე კატეხიზმოს), საეკლესიო გალობას, საეკლესიო-სლავურ წერას და კითხვას, რუსულ წერასა და კითხვას, ანგარიშს, ხელსაქმეს(გოგონათა კლასებში). ორკლასიან სკოლებში, ზემოთ ხსენებული საგნების გარდა, ისწავლებოდა: მოკლე საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია, გეოგრაფია, მოკლე ცნობები ფიზიკიდან ბუნების უმთავრესი მოვლენების შესახებ, ხაზვა, ხატვა. **საკვირაო სკოლები** შეიძლებოდა დაარსებულიყო ეკლესიებთან ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით. თუ საკვირაო სკოლა ქარხნებთან გაიხსნებოდა, ნებართვა გუბერნიის ხელისუფლებას უნდა გაეცა. საკვირაო სკოლებში სწავლება ერთკლასიანი სამრევლო სკოლების პროგრამით მიმდინარეობდა. საკვირაო სკოლებში მეცადინეობა კვირა დღეს იმართებოდა, ხოლო საუფლო დღეებში – წირვის დასრულების შემდეგ.

საოსტატო სკოლების ორივე საფეხურზე სწავლის ხანგრძლივობა, პროგრამა და მიზანი განსხვავებული იყო. **მეორეკლასიანი სკოლების** მიზანი იყო მასწავლებლების მომზადება წერა-კითხვის სკოლებისათვის. სკოლაში მიიღებოდნენ როგორც ვაჟები, ისე გოგონები 13-16 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ პირველდაწყებითი სკოლა. გოგონათა ჯგუფში იღებდნენ ისეთ მოწაფეებსაც, რომელთაც მხოლოდ შინაური განათლება ჰქონდათ, ასეთ შემთხვევაში მოწაფე მისაღებ გამოცდას აბარებდა. მეორეკლასიან სკოლებში სწავლა სამ წელიწადს გრძელდებოდა და პროგრამა შემდეგ საგნებს მოიცავდა: საღმრთო სჯული, ზოგადი და რუსეთის ისტორია, საეკლესიო გალობა, საეკლესიო-სლავური ენა, რუსული ენა, სამშობლოს ისტორია, გეოგრაფია, მოკლე ცნობები ფიზიკიდან ბუნების მოვლენების შესახებ, გეომეტრიული ხაზვა, ხატვა, დიდაქტიკა, ცნობები ჰიგიენიდან, სუფთა წერა, ხელსაქმე(გოგონების კლასისათვის). მეორეკლასიან სკოლებში ამ საგნებს, ეპარქიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლებოდა დამატებოდა: საეკლესიო მხატვრობა, მუსიკა, სხვადასხვა ხელობის შესწავლა, სოფლის მეურნეობის შესწავლა.

საეკლესიო-საოსტატო სკოლები დაარსდებოდა მხოლოდ რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით და მის მიზანს შეადგენდა მასწავლების მომზადება ყველა დონის საეკლესიო სკოლებისათვის. საოსტატო სკოლაში მიიღებოდნენ 15-17 წლის ვაჟები და გოგონები, რომელთაც დასრულებული ჰქონდათ მეორეკლასიანი სკოლები ან შესწავლილი ჰქონდათ ამ სკოლის პროგრამა. მისაღები გამოცდები ტარდებოდა მეორეკლასიანი სკოლის პროგრამით. სწავლის ხანგრძლივობა სამ წელს შეადგენდა, ამ ხნის განმავლობაში მოწაფეებს უნდა შეესწავლათ: საღმრთო სჯული, საეკლესიო ისტორია (მსოფლიო და რუსეთის ეკლესიის ისტორია), დიდაქტიკა, პედაგოგიკა, საეკლესიო გალობა, მუსიკა, ლოტბარობა, საეკლესიო-სლავური ენა, რუსული ენა, სიტყვიერება, ლიტერატურა, მსოფლიოსა და რუსეთის ისტორია, მსოფლიოსა და რუსეთის გეოგრაფია, არითმეტიკა, მათემატიკა, გეომეტრია, მიწის მზომელობა, ცნობები ბუნებაზე(მის უმთავრეს ძალებსა და მოვლენებზე), ხაზვა, ხატვა, ჰიგიენა, ხელსაქმე (გოგონათა კლასებისათვის). საეკლესიო-საოსტატო სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებს იბარებდა კომისია, რომლის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ეპარქიის მეთვალყურე ან ეპარქიის სასწავლო საბჭოს წევრი. კომისიას ეპარქიის მღვდელმთავარი ამტკიცებდა.

საეკლესიო-საოსტატო სკოლების მოწაფე ვაჟები სწავლის პერიოდში განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი გადასახადისაგან, გარდა სამხედრო ბეგარისა.

2. **ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკა მოქმედებაში.**კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი, როგორც აღვნიშნეთ, თანამდებობაზე 1901 წლის მაისამდე დარჩა. 1901 წლის 24 მაისს სასწავლო ოლქის მზრუნველად **მიხაილ ზავადსკი** დაინიშნა. თანამდებობის დატოვებამდე რამდენიმე წლით ადრე, 1897 წელს, იანოვსკიმ რუსეთის იმპერიის განათლების მინისტრ ივან დელიანოვს(1882-1897) მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 1. საქართველოში სამრევლო და საკვირაო სკოლები მხოლოდ ადგილობრივი სამღვდელოების ხელში არ უნდა დარჩეს, რადგან ეს სამღვდელოება ამიერკავკასიის რუსეთის იმპერიასთან შერწყმის წინააღმდეგია; 2. საქართველოს უმაღლეს სასულიერო წოდებას უპირატესად ქართველები შეადგენენ, ქართველია ორი ქორეპისკოპოსი და ორი ეპარქიის მმართველი; 3. ქართველები არიან სკოლების გამგეები, ბლაღოჩინები, მღვდლები და სამრევლო და საკვირაო სკოლების მასწავლებლები. სოფლის სკოლებში რუსული სამღვდელოება საერთოდ არ არის, ქალაქში კი– ძალიან ცოტა:

ვასტანგ გურული

ვასტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) გვ. 97-100

ფერწერა პოეზიაში და პოეზია ფერწერაში

ანა ნიკოლაიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ოზურგეთში

ალიონი. 1 სექტემბერს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის საექსპოზიციო დარბაზში გაიხსნა **ანა ნიკოლაიშვილის** პერსონალური გამოფენა, რომელიც მხატვარმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს მიუძღვნა.

გამოფენაზე, რომელიც 5 დღეს გასტანს, წარმოდგენილია მხატვრის 47 ფერწერული ტილო.

ანა ნიკოლაიშვილის ფერწერა მდიდარია მკვეთრი, თბილი და მზიანი ფერებით, ორიგინალური და საინტერესო კომპოზიციებით. პორტრეტებიდან საოცრად ხალასი, სიკეთით სავსე, ნათელი, მრავლისმეტყველი სახეები გიცქერენ. შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი ანა სიცოცხლეზე, ადამიანსა და ბუნებაზე უკიდეგანოდ შეყვარებული შემოქმედია.

ანა ნიკოლაიშვილი პოეტიცაა. მისი ასევე ხალასი და ასევე ბუნებასთან სხლოს მყოფი პოეზია საოცრად ჰგავს მისსავე ფერწერულ ტილოებს. ასე რომ, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, მისი შემოქმედება ესაა ფერწერა პოეზიაში და პოეზია ფერწერაში.

გამოფენა ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** გახსნა. ფერმწერ ქალს, შემდგომი წარმატებების სურვილით, მიესალმნენ: მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების დირექტორი, მხატვარი **ავთანდილ თავართილაძე;** გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავკაცი, მხატვარი **თამაზ დარჩია,** ვარსკვლავოსანი მხატვარი **ვახტანგ მამეიშვილი;** აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, მხატვარი **გურამ ფუტკარაძე;** პოეტი **ბელა ქებურია;** მხატვრის მეგობარი **თინათინ გიორგაძე;** ბათუმის ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელი **ინგა დიასამიძე.**

ქალბატონმა ანა ნიკოლაიშვილმა მადლობა გადაუხადა გამოფენის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს გულთბილი შეხვედრისა და თავისი ნამუშევრების შეფასებისთვის.

ქალბატონი ანა ოზურგეთელია. უკვე წლებია ცხოვრობს და შემოქმედებითად მოღვაწეობს ქალაქ ბათუმში.

1974 წელს დაამთავრა ბათუმის ნიკო კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი ფერწერის განხრით.

1989 წელს მუშაობდა ბათუმის თოჯინების თეატრში, მხატვარ გამფორმებლად; 1995 წელს - აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მხატვარ-რესტავრატორად: 1992 წელს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში მხატვარ-გამფორმებლად, მოგვიანებით კი-კადრების ინსპექტორად.

პერსონალური გამოფენები:

1988 წელი, თბილისი, „ცისფერი გალერეა;

1997 წელი - თბილისი, ქარვასლა;

2000 წელი - თბილისი, „ცისფერი გალერეა;

207 წელი - ბათუმი, პერსონალური გამოფენა

2014წელი - პერსონალური გამოფენა ბავშვთა დღესთან დაკავშირებით მოსწავლე ახალგაზრდობის ბათუმის სასახლეში.

ანა ნიკოლაიშვილის ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, კერძო კოლექციებში, აშშ-ში, საფრანგეთში, ესპანეთში, ისრაელში, რუსეთსა და გერმანიაში



რესტორანი, სადაც სუფრას შემოქმედებითად უდგებიან!

– მოხდენილი ინტერიერი, 70-კაციანი კეთილმოწყობილი დარბაზი, ხალისიანი ეზო, ორი ფაცხა;

– ქართული სანელებლებით შეკმაზული ეროვნული წვნიანი და მშრალი კერძების ფართო ასორტიმენტი, სამეფო, იმერული, გურული და აჭარული ხაჭაპურები... კი, სხვაგანაც გემრიელია, მაგრამ ცაცას ნახელავი მაინც სულ სხვაა!!!

– ნატურალური მატონიზებელი და ალკოჰოლიანი სასმელები, მუსიკა პირდაპირ ინტერნეტიდან.

და ეს ყველაფერი სად? – სოფელთა სოფელ შემოქმედის ცენტრში, რესტორან ჩაქუხაში“.

„ჩაქუხა“!!!

რესტორანი, სადაც სუფრას შემოქმედურად, ანუ შემოქმედებითად უდგებიან.!!!

მიიღება შეკვეთები.

ტელეფონი: 574 22 31 62

იუბილარი

ცისანა ქაშაკაშვილს



შემთხვევით გავიგე, იუბილარი ყოფილხარ, 80 წელი შეგსრულებია. რა დრო გასულა, ჩემო ციცო, თუმცა შენთვის ვერაფერი დაუკლია.ისევ მშვენიერი გარეგნობის, ღიმილიანი, ყველაზე მზრუნველი და არაჩვეულებრივად ყურადღებიანი ქალბატონი ხარ.

ისევ დგახარ ანასეულელი ცნობილი მეცნიერების რიგებში. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი კვლავაც მაღალი პასუხისმგებლობით აკეთებ საყვარელ საქმეს, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნეა ემსახურები.

მეუღლე, შვილი, რძალი, შვილიშვილები და სხვა ახლობლები, მეზობლები თუ ნაცნობ-მეგობრები, გურიანთელები, რომელთა გამორჩეული რძალი ხარ, შენით ამაყობენ და გისურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს.

მერწმუნეთ, რომ მათ შორის მეც ვარ.

პატივისცემით, **გულსუნდა მახარაძე.**

ვულოცავთ!

პედაგოგსა და პოეტს **ნოდარ დონაძეს** ვულოცავთ შვილიშვილის, ქვემო ნატანების საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის, ოქროს მედალოსან **ნანა ცინცაძეს** ილიას უნივერსიტეტში მოწყობას.

მეგობრები

7 დღის ამინდის პროგნოზი

7 სექტემბერი ორშაბათი	8 სექტემბერი სამშაბათი	9 სექტემბერი ოთხშაბათი	10 სექტემბერი ხუთშაბათი	11 სექტემბერი პარასკევი	12 სექტემბერი შაბათი	13 სექტემბერი კვირა
მზე, ღრუბელი +16+24	მზე, +16+26	მზე, ღრუბელი +16+24	მზე, ღრუბელი +12+20	მზე, +15+21	მზე, +17+26	მზე, +17+29